

გიორგი მელაძე

## Lautsi v Italy

# (ლუცი იტალიის წინააღმდეგ)

გიორგი მელაძე

აღმასრულებელი დირექტორი  
თავისუფლების ინსტიტუტი, საქართველო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ისტერიით შეხვდა იტალიის პოლიტიკური სპექტრი: „სიკვდილით უნდა დაისაჯოს ის ქალიც (ლუცი) და ყველა სხვაც, ვინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო“ – განაცხადა იტალიის თავდაცვის მინისტრმა.

სპეციალური მიმართვა შეიმუშავეს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმაც. გარდა რადიკალი მემარცხენეებისა, ყველა შეუერთდა მიმართვას. მათ სპეციალური რეზოლუციით მიმართეს მთავრობას, მოეთხოვა სუბსიდიურობის პრინციპის დაცვა. რადიკალი მემარცხენე პარტიების გარდა იტალიაში ყველა პოლიტიკურმა ძალამ დაგმო ევროპული სასამართლოს 2009 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნებული გადაწყვეტილება ლუცი იტალიის წინააღმდეგ. «უპრეცედენტოდ» წოდებულ საქმეში სასამართლომ კონვენციასთან შეუსაბამოდ ცნო იტალიის სკოლებში, საკლასო ოთახებში ჯვრის გამოფენა კედლებზე, რამაც მძაფრი რეაქცია გამოიწვია იტალიაში და სხვა კათოლიკური ტრადიციების დამცველ სახელმწიფოებში.

უკმაყოფილების დამალვა არც ვატიკანს უცდია. „ჯვარცმა იტალიისთვის არა მხოლოდ რელიგიური, არამედ მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული ღირებულების მქონე სიმბოლოა, რომელიც კაცობრიობის გამაერთიანებელ ღირებულებებთან ასოცირდება.

ევროპის სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, ჩარეულიყო იტალიის შიდა საქმეებში, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სასამართლომ გადაწყვიტა ქრისტიანობის როლის, როგორც ევროპული დიენტობის ნაწილის სრულად იგნორირება მოახდინოს“, განაცხადა ვატიკანის პრესასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ფედერიკო ლომბარდომ.

„გადაწყვეტილების შესრულებაზე მტკიცე უარი უნდა განვაცხადოთ. იტალიას საკუთარი კულტურა, ტრადიციები და ისტორია აქვს. ვინც გადაწყვიტა ჩვენი საზოგადოების ნაწილი გახდეს, მან უნდა მიიღოს ეს წესები და გაგებით მოეკიდოს ჩვენს ტრადიციებს. ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავს, ხაზი გადაუსვას ჩვენს ქრისტიანულ წარსულს. ასეთი გადაწყვეტილებებით მივიღებთ ევროპას, რომელსაც არც იდენტობა და არც ტრადიციები აღარ ექნება შემორჩენილი“ – ალესანდრა მუსოლინი, დიქტატორ მუსოლინის შვილიშვილი.

23000 მომხრე რამდენიმე საათში შეუერთდა Facebook -ზე დადებულ მიმართვას, წინ აღდგომოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

თუმცა საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირეს სეკულარიზმის დამცველმა ორგანიზაციებმა. «თუ იტალიის სახელმწიფოს პოზიციას გავშიფრავთ, აღმოვაჩინებთ, რომ იგივე არგუმენტებით, რაც მთავრობამ წამოაყენა, ისლამური სახელმწიფოები ცდილობენ უფლებათა დაცვაზე უარის თქმას. შესაბამისად, მათი მიღება დაუშვებელი იქნებოდა ლიბერალური საზოგადოებისთვის» - იტალიის ჰუმანისტური საზოგადოება.

ლუცის საქმე პირველი არაა იტალიის სასამართლო პრაქტიკისთვის. ჯვარცმის გამოსახვა ჩვეული მოვლენაა საჯარო დაწესებულების კედლებზე იტალიაში. მუსლიმი მშობელი ადელ სმითი და ებრაელი მოსამართლე ლუიჯი ტოსტი სხვადასხვა დროს ცდილობდნენ საკუთარი პროტესტი გამოეხატათ საჯარო სივრცეში სიმბოლიკის გამოყენის წინააღმდეგ.

სმითმა, რომელიც მუსლიმთა მცირე გაერთიანების ხელმძღვანელია, სასამართლო გზით მიაღწია სიმბოლოების გამოყენა აკრძალვას სკოლებში. გადაწყვეტილებამ საყოველთაო პროტესტი გამოიწვია. ზემდგომმა სასამართლომ ხელახალი განხილვისას გააუქმა გადაწყვეტილება.

სამოქალაქო წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია მოსამართლე ტოსტის. იგი რამდენჯერმე იქნა დაჯარიმებული და ადმინისტრაციული პატიმრობაც კი მიესაჯა იმის გამო, რომ უარს ამბობდა ადმინისტრაციულ შენობაში შესვლაზე, თუ იქ ქრისტიანული სიმბოლოები იყო გამოფენილი.

”მე მივედი სკოლაში და ვნახე, რომ ყველა კლასში ჯვარი ეკიდა ყველაზე გამოსაჩენ ადგილებში. ეს სიახლედ სულაც არ მომეჩვენა. საბავშვო ბაღში სამი ჯვარი ეკიდა ერთ კედელზე. იტალიაში კათოლიციზმი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება და ზოგჯერ ძალიან დამთრგუნველია, თუ ათეისტად ჩნდები საზოგადოებაში”. - აცხადებს ქალბატონი ლუცი.

”ჩემთვის ეს საქმე არა ფულადი კომპენსაციის, არამედ მორალური ღირებულების მქონე იყო. იტალია საკუთარ თავს საერო სახელმწიფოს უწოდებს და უნდა იცავდეს კიდევ ამ ღირებულებას”.

## ისტორიული მიმოხილვა – რელიგიური სიმბოლიკის გამოყენება იტალიაში

კანონები, რომლებიც საჯარო დაწესებულებებში რელიგიური სიმბოლიკის გამოყენის საკითხებს აწესრიგებს იტალიაში, დიქტატორ მუსოლინის დროს შეიქმნა. ფაშიზმის აღმავლობის პერიოდში სახელმწიფომ გამოსცა მთელი რიგი ცირკულარები, რომლებიც მიზნად ისახავდა კლასებში ჯვარცმის გამოსახულების გამოყენის ვალდებულების შესრულებას. იტალიის სკოლები ვალდებულნი იყვნენ, გამოეყენათ მუსოლინის სურათი და ჯვარი გვერდიგვერდ. როგორც მომხრეები ასაბუთებდნენ, ჯვრის და მუსოლინის სურათის ცალ-ცალკე გამოყენით, ხაზს უსვამდნენ სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნას.

ჩვენ წერილობით ბრძანებას ვაძლევთ სამეფოს ყველა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას, აღადგინონ რწმენისა და ეროვნულობის წმინდა სიმბოლო იმ სკოლებში, სადაც ისინი აღარ არის” - განათლების სამინისტროს 1922 წლის 22 ნოემბრის № 68 ცირკულარი.

“ჩვენი რელიგიის სიმბოლო წმინდაა რწმენისთვის, ასევე ეროვნულობისთვის, ის შთააგონებს და აღმაფრენას ანიჭებს სწავლის მოყვარულ ახალგაზრდობას, რომელიც უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აწრთობს გონებასა და აზროვნებას იმ მძიმე ტვირთისთვის, რომლისთვის სატარებლადაც ის ემზადება” - განათლების სამინისტროს 1926 წლის 26 მაისის № 2134-1867 ცირკულარი.

1928 წლის 26 აპრილის 1297 სამეფო დეკრეტის 119-ე მუხლი (დაწყებითი სწავლების სამსახურის ძირითადი რეგლამენტის დამტკიცება) ჯვარცმის გამოსახულებას განიხილავს “კლასების აუცილებელ აღჭურვილობასა და ნივთებს” შორის.

ლატერანის ხელშეკრულებებით, რომლებსაც ხელი 1929 წლის 11 თებერვალს მოეწერა, სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის “შერიგება” აღინიშნა. კათოლიციზმი იტალიის სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული. ხელშეკრულების პირველი მუხლი შემდეგი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული: “იტალია აღიარებს და ადასტურებს სამეფოს 1848 წლის 4 მარტის წმინდა ალბერტინის სტატუტის პირველი მუხლით დადგენილ პრინციპს, რომლის თანახმად, კათოლიკური, აპოსტოლური და რომაული რელიგია სახელმწიფოს ერთადერთი რელიგიაა”.

კათოლიკური რელიგიის სტატუსი შეიცვალა ვატიკანთან გაფორმებული ახალი, 1984 წლის 18 თებერვლის კონკორდატის დამატებითი ოქმის პირველი დებულების 1985 წლის 25 მარტის № 121 კანონით რატიფიკაციის შემდეგ, რომელმაც ლატერანის 1929 წლის ხელშეკრულებები შეცვალა. აღნიშნული დებულების თანახმად, ლატერანის ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებული პრინციპი, რომლის თანახმად, კათოლიკური რელიგია იტალიის სახელმწიფოს ერთადერთი რელიგიაა, ძალადაკარგულად ჩაითვალა.

თუმცა ღიად დარჩა სხვა კანონების საკითხი, რომელიც რელიგიური მნიშვნელობის საკითხებს აწესრიგებდა. სწორედ ამ იურიდიულმა ვაკუუმმა განაპირობა ის სამართლებრივი კაზუსი, რომელმაც ლუცის საქმეში იჩინა თავი. ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ზემოაღნიშნული დებულებები რელიგიური სიმბოლიკის გამოყენების შესახებ კვლავ ძალაში რჩებოდა და გამოყენებადი იყო ლუცის დავასთან მიმართებაში.

## **მხარეთა მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში წარმოდგენილი არგუმენტები**

საახელმწიფომ საინტერესო პოზიცია წარმოადგინა თავისი არგუმენტებისთვის ძალის მიცემად. პირველ რიგში, მან სცადა ჯვრისთვის არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ღირებულებითი მნიშვნელობა მიენიჭებინა:

„ჯვარს უდავოდ გააჩნია რელიგიური დატვირთვა, თუმცა მას სხვა მნიშვნელობებიც აქვს, კერძოდ, ეთიკური დატვირთვა . . . ცხადია, ღირებულებები, რომლებსაც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოება ემყარება, საფუძველს ასევე პოვებს არაქრისტიან ან ქრისტიანობასთან დაპირისპირებულ ავტორთა შრომებში. აღნიშნულის მიუხედავად, მათი ნააზრევი ქრისტიანული ფილოსოფიით საზრდოობდა იმ აღზრდიდან და საგანმანათლებლო გარემოდან გამომდინარე, რომელშიც ისინი განსწავლულ იქნენ და ცხოვრობენ. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების ფესვები შორეული წარსულიდან, სახარების პერიოდიდან იღებს სათავეს. შესაბამისად, ჯვარი ჰუმანისტური სიმბოლოა, რომლის განმარტება მისი რელიგიური მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად შეიძლება და რომელიც შედგება პრინციპებისა და ღირებულებებისაგან, რომლებიც ჩვენი დემოკრატიების ფუნდამენტს წარმოადგენს.

ჯვარი, აქვს რა ზემოაღნიშნული დატვირთვა, სრულიად შეთავსებადია საეროობის პრინციპთან და მისაღებია ქრისტიანებისა და არაქრისტიანებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მისი მიღება იმ თვალსაზრისით, რომ ის გულისხმობს ამ პრინციპებისა და ღირებულებების შორეულ დასაბამს. საბოლოო ჯამში, ჯვრის სიმბოლოს აღქმა რელიგიური დატვირთვის გარეშეც არის შესაძლებელი და მისი გამოფენა საზოგადოებრივ ადგილებში ვერ იქნება კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლების შელახვა“.

## თავის დაზღვევის მიზნით წარმოდგენილ ამ არგუმენტს სახელმწიფომ დაუმატა სხვების

1. ევროსასამართლო, დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, უფლებების დარღვევას უწოდებს ისეთ შემთხვევებს, რომელშიც ბევრად უფრო აგრესიული მოქმედებები ხორციელდება, ვიდრე ეს რელიგიური სიმბოლიკის უბრალო გამოფენაა (Folgerø et autres v. Norway, [GC], no 15472/02, CEDH 2007-VIII).

2. ჯვარცმის გამოსახულება არის საკლასო ოთახებში, მაგრამ არც მოსწავლეებსა და არც მასწავლებლებს არ მოეთხოვებათ მის მიმართ თუნდაც მინიმალური თაყვანისცემის გამოხატვა, ან კიდევ კლასში ლოცვების კითხვა. უფრო მეტიც, მათ ჯვარცმის გამოსახულებისადმი მინიმალური ყურადღების მიქცევაც კი არ ევალებათ.

3. არ არსებობს საერთო ევროპული კონვენსუსი საეროობის პრინციპის განხორციელების კონკრეტულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით. რელიგიური სიმბოლოების უბრალო გამოფენის აკრძალვა საეროობის პრინციპს წინასწარგანსაზღვრულ მატერიალურ შინაარსს შესძენს, რაც წინააღმდეგობაში მოვა ეროვნული მიდგომების ლეგიტიმურ განსხვავებასთან და გაუთვალისწინებელ შედეგებს გამოიწვევს.

4. იტალიის რესპუბლიკამ, არის რა საერო რესპუბლიკა, თავისუფლად, სხვადასხვა მოტივებით, გადაწყვიტა ჯვარცმის გამოსახულების დატოვება კლასებში, მათ შორის მოსახლეობის

უმნიშვნელოვანესი ნაწილის ინტერესების გამოხატველ ქრისტიანულ პარტიებთან კომპრომისის მიღწევის მიზნით. მთავრობა არ ამტკიცებს, რომ აუცილებელი, ხელსაყრელი ან სასურველია კლასებში ჯვარცმის გამოსახულების დატოვება, მაგრამ მისი დატოვება-არდატოვების არჩევანი პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება და უკავშირდება შესაბამისობის და არა კანონიერების კრიტერიუმებს. 5. იტალიაში სწავლება სრულიად საერო და პლურალისტურია, სასკოლო პროგრამები რომელიმე კონკრეტული რელიგიისადმი არავითარ მინიშნებას არ შეიცავს და რელიგიური საგნები არჩევივითაა. არც მასწავლებელს უკრძალავს ვინმე კლასში სხვა რელიგიური სიმბოლოების გამოფენას.

## **სახელმწიფოს არგუმენტებს განმცხადებელმა საკუთარი პოზიცია დაუპირისპირა:**

1. მიუხედავად განსხვავებული ინტერპრეტაციებისა, ჯვარცმას რელიგიური დატვირთვა გააჩნია და ის ფაქტი, რომ მას "სხვადასხვა ინტერპრეტაცია" აქვს, არ იწვევს მისი უმთავრესი, რელიგიური დანიშნულების უკანა პლანზე გადასვლას.

2. ერთი რელიგიის სიმბოლოების გამოფენა, მოსწავლეებში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სახელმწიფო განსაზღვრულ რელიგიურ მრწამსს ემხრობა, მაშინ, როდესაც სამართლებრივ სახელმწიფოში არავინ არ უნდა აღიქვამდეს სახელმწიფოს სხვა რელიგიებთან შედარებით ერთ რელიგიასთან უფრო მეტად ახლოს მყოფად, მით უფრო არასრულწლოვანები, რომლებიც განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან მათი მცირეწლოვანების გამო.

3. კლასებში ჯვარცმის გამოსახულების გამოფენის "ფაქტობრივი სავალდებულოობით", სახელმწიფო კათოლიკურ რელიგიას აყენებს უპირატეს მდგომარეობაში სხვა რელიგიებთან შედარებით და ადგილი აქვს სახელმწიფოს ჩარევას განმცხადებლისა და მისი შვილების აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასა და განმცხადებლის უფლებაში, აღზარდოს შვილები საკუთარი შეხედულებებისა და მრწამსის შესაბამისად. ასევე ადგილი აქვს დისკრიმინაციას არა-კათოლიკეთა მიმართ.

4. სახელმწიფოს მხრიდან უდავოდ ადგილი აქვს მცირეწლოვნებზე ზეწოლას, ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სახელმწიფო დაშორებულია იმ ადამიანებისგან, რომლებიც ამ რელიგიას არ აღიარებენ.

საკუთარი პოზიცია საქმესთან მიმართებაში წარმოადგინა ექსპერტად ჩართულმა საბერძნეთის ჰელსინკის მონიტორინგის ორგანიზაციამ. ორგანიზაციამ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა ჯვარცმის სიმბოლურ მნიშვნელობაზე. იტალიის მთავრობის არგუმენტი, რომ ჯვარი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი სიმბოლოცაა, მან მიუღებლად მიიჩნია. ჯვარცმის სიმბოლურ მნიშვნელობაზე ხაზგასმით, მთავრობამ პირველ რიგში კათოლიკურ ეკლესიას მიაყენა შეურაცხყოფა, რადგან ეკლესიისთვის ჯვარი სწორედაც რომ რელიგიური დატვირთვის და შინაარსის მქონეა. ასევე



ალიქვამენ ჯვარს სხვა რელიგიის მიმდევრებიც, მათთვისაც პირველ რიგში ეს რელიგიური სიმბოლოა.

საექსპერტო მხარემ მიუთითა ტოლედოს პრინციპებზეც, რომელიც ეუთოს მხარდაჭერით რეკომენდაციის სახით შეიმუშავა ექსპერტმა ჯგუფმა. ტოლედოს ძირითადი პრინციპების თანახმად (ეუთოს რწმენისა და რელიგიის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა საბჭო), საჯარო სკოლაში რელიგიური სიმბოლოს არსებობა შესაძლოა წარმოადგენდეს რელიგიის არაპირდაპირი სწავლების ფორმას, მაგალითად, ის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ კონკრეტულ რელიგიას უპირატესობა ენიჭება სხვებთან შედარებით. თუკი ფოლგეროს საქმეში (2004) სასამართლო აცხადებდა, რომ რელიგიურ რიტუალში, საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ბავშვებზე, მაშინ რელიგიური სიმბოლოს გამოფენასაც შეუძლია გავლენის მოხდენა. - ასაბუთებდა საბერძნეთის ჰელსინკის მონიტორინგი.

## სასამართლოს გადაწყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ საქმე ძალიან მნიშვნელოვანი იყო მრავალი ასპექტის გათვალისწინებით, სასამართლომ ლაკონური და პრინციპული მსჯელობა წარმოადგინა. მან გაითვალისწინა ის გარემოება, რომ რელიგიური სიმბოლოების გამოფენა შესაძლოა გავლენას ახდენდეს არასრულწლოვნებზე და დაეთანხმა მსჯელობას, რომ "ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არის ერთი კონკრეტული რელიგიის მიმდევარი, ამ რელიგიის რიტუალებისა და სიმბოლოების გამომჟღავნება, ადგილისა და ფორმის შეუზღუდავად, შეიძლება წარმოადგენდეს ზეწოლას იმ მოსწავლეებზე, რომლებიც არ აღიარებენ აღნიშნულ რელიგიას, ან მათზე, ვინც სხვა რელიგიის მიმდევარია (Karaduman v. Turkey, Commission decision, May 3 1993) . . ."

"55. კლასში გამოფენილი ჯვარცმის გამოსახულება ნებისმიერი ასაკის მოსწავლეების მიერ ახსნილი იქნება როგორც რელიგიური სიმბოლო და ისინი თავს იგრძნობენ განათლებულებად იმ გარემოში რომელსაც მოცემული რელიგიის კვალი ემჩნევა. ის, რაც გამამხნეველები შეიძლება იყოს ერთი რელიგიის მიმდევარი მოსწავლეებისთვის, შესაძლოა დამთრგუნველი აღმოჩნდეს სხვა რელიგიის მიმდევარი ან ათეისტი მოსწავლეებისთვის. აღნიშნული რისკი განსაკუთრებით იჩენს თავს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების შემთხვევაში. ნეგატიური თავისუფლება არ შემოიფარგლება რელიგიური მსახურების ან სწავლების არარსებობით, ის ასევე ვრცელდება სიმბოლოებსა და პრაქტიკაზე, რომლებიც კონკრეტულად თუ ზოგადად გამოხატავენ კონკრეტულ რელიგიას, მრწამსს ან ათეიზმს. აღნიშნული ნეგატიური უფლება განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს მაშინ, როდესაც მრწამსის გამოხატვა სახელმწიფოს მხრიდან ხდება და პირი იმყოფება ისეთ სიტუაციაში, რომლიდანაც მას თავის დაღწევა ან საერთოდ არ შეუძლია, ან მხოლოდ არაპროპორციული ძალისხმევითა და მსხვერპლის გაღების ფასად შეუძლია.

56. ერთი ან რამდენიმე რელიგიური სიმბოლოს გამოფენა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს არც სხვა მშობლების მოთხოვნით, რომლებსაც სურთ მათი შვილების საკუთარი რელიგიური შეხედულებების შესაბამისი განათლება და არც ქრისტიანული ორიენტაციის პოლიტიკურ პარტიებთან კომპრომისის აუცილებლობით, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებს. განათლების სფეროში მშობელთა შეხედულებების პატივისცემა უნდა ემყარებოდეს სხვა მშობლების შეხედულებების პატივისცემას. სახელმწიფოს ეკისრება კონფესიური ნეიტრალიტეტის ვალდებულება საჯარო განათლების ფარგლებში, რომელშიც გაკვეთილებზე დასწრება ყველას მოეთხოვება რელიგიური კუთვნილების მიხედვით და რომელიც უნდა ცდილობდეს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას”.

მან ასევე მიიჩნია, რომ ჯვარცმის გამოსახულება სკოლებში ისტორიულ თუ სხვა კონტექსტში არ იყო აღქმული და, უპირველეს ყოვლისა, მას რელიგიური დატვირთვა ჰქონდა. ამ არგუმენტს სასამართლოს აზრით, ვატიკანის პოზიციაც აძლიერებდა, რომელიც ოფიციალურად აცხადებდა, რომ ქრისტიანული სიმბოლიკის გამოფენით იტალია საკუთარ ქრისტიანულ წარმოშობას უსვამდა ხაზს.

შესაბამისად სასამართლომ დაინახა უფლების დარღვევის საფუძველი და საქმეში ლუცის პოზიციას დაუჭირა მხარი.

## ლუცის საქმის პრეცედენტული მნიშვნელობის შესახებ

სასამართლოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს ევროპაში დამკვიდრებული ტრადიციები - წერდა გარდიანი გასული წლის ნოემბერში. მწვავე რეაქცია გამოიწვია გადაწყვეტილებამ პოლონეთსა და ლიტვაშიც, სადაც კათოლიციზმის მომხრეებმა იგი "იდეოლოგიურ დევნადაც" მონათლეს. თუმცა ფაქტია, რომ პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ევროპის სასამართლო გააკრიტიკეს რელიგიური თავისუფლების არასათანადოდ დაცვისთვის.

რამდენიმე საქმეს მიმოვიხილავთ ევროპული პრაქტიკიდან, რათა ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას მკითხველმა, თუ რა წინა პირობები უძლოდა წინ ლუცის საქმეს და როგორ მივიდა სასამართლო ამ გადაწყვეტილებამდე.

2009 წლის 29 ივლისს ევროპულმა სასამართლომ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა საფრანგეთის კანონმდებლობის მიმართ. ქვეყნის კანონმდებლობა კრძალავს რელიგიური სიმბოლიკის გამოფენას საჯარო ადგილებში, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კანონი მუსლიმურ ჩაცმულობაზე. ევროპის სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია სარჩელი და მან დაუშვებლად ცნო ფრანგი მოსწავლეების სარჩელი, სადაც ისინი საფრანგეთის ამკრძალავ კანონმდებლობას ასაჩივრებდნენ როგორც კონვენციასთან შეუსაბამოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთს ჰქონდა უფლება სეკულარული, დემოკრატიული პრინციპების დაცვის საფუძველით დაეწესებინა შემზღუდავი ნორმები.

2008 წლის 4 დეკემბერი დოგრუ საფრანგეთის წინააღმდეგ, მოსწავლეები გააძევეს სკოლიდან, რადგან უარს ამბობდნენ ფიზკულტურის გაკვეთილზე თავსაფარის მოხდაზე. ევროპის სასამართლომ აქაც გაამართლა სახელმწიფო და მიიჩნია, რომ სკოლაში წესრიგის დაცვის შესახებ სახელმწიფოს უფრო უკეთ შეეძლო ემსჯელა და არც შეზღუდვა წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას.

2005 წლის საქმეში ლეილა შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ მოქალაქე დავობდა რელიგიის თავისუფლების მუხლზე მითითებით და ასაბუთებდა, რომ თურქეთის სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვა - არ ეტარებინა თავსაფარი საჯარო დაწესებულებებში, მისი უფლების დარღვევა იყო. ევროპის სასამართლომ მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მიერ დაწესებულ აკრძალვას და დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, თავად დაეწესებინა რეგულირების ფომრები რელიგიის თავისუფლებისთვის და მას გააჩნდა უფლება ჰქონოდა სეკულარული პოზიცია, რაც გულისხმობდა მორწმუნეთა უფლებების გარკვეულ შეზღუდვას.

2001 წლის 15 თებერვალი დაჰლაბი შვეიცარიის წინააღმდეგ საქმეში სასამართლომ იმსჯელა მოქალაქის უფლებაზე ტარდიციული ჩაცმულობით ევლო სკოლაში, სადაც ის მასწავლებლად მუშაობდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდვა გამართლებული იყო, რადგან მასწავლებელი ბავშვებისთვის სამაგალითო პიროვნება იყო და მის ჩაცმულობას შეიძლება გავლენა მოეხდინა ბავშვების რელიგიურ შეხედულებაზე.

პარალელურად ვითარდებოდა შიდა კანონდმებლობაც სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში. გერმანიის 8 შტატში აიკრძალა რელიგიური ჩაცმულობის ტარება სკოლებში, უნივერსიტეტებში და საჯარო დაწესებულებებში. 2003 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აიკრძალა რელიგიური სიმბოლოების გამოფენა სკოლებში.

ჰოლანდიამ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტიპის შეზღუდვები დააწესა მუსლიმი მორწმუნეებისთვის თავსაბურავების ტარებაზე. ამტერდამის და უტრენტის მუნიციპალიტეტებმა საკითხი დააყენეს სოციალური დახმარებაც კი გაუუქმებინათ იმ უმუშევარი ქალებისთვის, ვინც თავსაბურავს ატარებდა, რადგან ეს მათი დასაქმების შანსებს ძალიან დაბლა სწევდა ქრისტიანულ ქვეყანაში.

როგორც მარტივი თვალის გადავლება ადასტურებს რელიგიური სიმბოლიკის თემა საკმაოდ მწვავედ დგას ევროპული ქვეყნების საზოგადოებრივ და სამართლებრივ დისკუსიებში. ლუცის საქმე, პირველ რიგში, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მან გააფართოვა რელიგიური სიმბოლიკის გაგების ფარგლები და ქრისტიანული სიმბოლიკაც განხილვის საგნად აქცია. ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა ევროპული კონტექსტისთვის და, თავისთავად, ეს ფაქტიც ცალკე აღნიშვნის ღირსია.

ამის გარდა, საინტერესოა სასამართლოს მსჯელობა, რომელიც ტრადიციულ დამოკიდებულებას ცვლის რელიგიური საკითხების მიმართ. ლუცის საქმემდე სასამართლო ცდილობდა ნაკლებად ჩარეულიყო სახელმწიფო რეგულირების კანონიერების განხილვის პროცესში და პასიური დამკვირვებლის პოზიციიდან მსჯელობას ანიჭებდა უპირატესობას. სასამართლო იყენებდა მიხედულებათა ფარგლების არგუმენტს და ამბობდა, რომ სახელმწიფოს რელიგიურ საკითხებში ჰქონდა მანევრირების ფართო საშუალება და იგი არ ჩაერეოდა ამ წეს-



რიგის შესაცვლელად. ეს მიდგომა იკითხება ყველა იმ საქმეში, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ იქნა მოყვანილი.

სასამართლოს განსხვავებულ დამოკიდებულებას ვაწყდებით ისეთ საქმეებში, რომლებშიც არა მხოლოდ რელიგიის თავისუფლება, არამედ სხვა უფლებებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და ამგვარ შემთხვევებში სასამართლოს პოზიცია უფრო ხისტია ხოლმე. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ბარანკევიჩის საქმეს (2007).

რუსეთის ხელისუფლებამ პროტესტანტულ ჯგუფს აუკრძალა საჯარო ადგილზე, პარკში შეკრება და საჯარო ლოცვა. როგორც ბევრი ავტორი მიიჩნევს, ასეთ შემთხვევაში არეულობის საფრთხე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მაშინ, როცა მუსლიმი მანდილოსნები თავსაბურავებს ატარებდნენ. თუმცა სასამართლომ თავსაბურავების საქმისგან განსხვავებით ამ საქმეში სხელმწიფოს საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა და ამ გადაწყვეტილებაზე, სავარაუდოა, დიდი გავლენა გაერთიანების და შეკრების უფლების შეზღუდვამ გამოიწვია. სასამართლომ მიუთითა კიდევ გაერთიანების უფლების მნიშვნელობაზე და მიუხედავად იმისა და შეკრებას კონკრეტულ შემთხვევაში რელიგიური მიზანი ჰქონდა, მისი დაცვა მნიშვნელოვნად მიიჩნია.

ერთადერთი დასკვნა, რაც ამის შემდეგ შეიძლება გამოვიტანოთ, ისაა, რომ სასამართლომ შექმნა გარკვეული დაყოფა რელიგიურ და არარელიგიურ უფლებებს შორის. არარელიგიურ უფლებებთან მიმართებაში ის აქტიურ პოზიციას იკავებს და მზადაა ანგარიში არ გაუწიოს სახელმწიფოს, შესაძლებლობათა ფარგლებს თვითონ მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობები. ხშირად ერევა და უთითებს ევროპის კონვენციის წინააღმდეგობაზე უფლებებთან მიმართებაში, თუ ხელდას დაარღვევის საფუძველს.

რაც შეეხება რელიგიურ უფლებებს, სასამართლო მეტ სიფრთხილეს იჩენს, როცა სახელმწიფოს სეკულარულ პოზიციებს იცავს და პირიქით, საკმაოდ აქტიურად ჩაერია, როცა რელიგიურობის ტენდენცია დაინახა იტალიის შემთხვევაში. ანუ პრინციპი, რომ სასამართლოსთვის მიხედულებათა ფართო ფარგლები არსებობს რელიგიურ უფლებასთან მიმართებაში კარგავს საფუძველს და აქტუალური ხდება ახალი ტენდენცია. სასამართლო იცავს სეკულარულ პრინციპებს წევრ სახელმწიფოებში და გამოდის სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის მომხრედ, რაც აშკარაა ლუცის საქმიდან.

თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ იქნეს გაგებული. "ჯვარცმა არ შეიძლება ვინმეს მიმართ შეურაცხმყოფლად იქნეს აღქმული" - განაცხადა რომის მერმა ჯანი ალემანომ და ამით დაადასტურა დებატის სიმწვავე. ბუნებრივია, სასამართლოს არავის შეურაცხყოფა არ სურდა. მთავარი პრინციპი, რომელიც სასამართლომ დაიცვა, თანასწორი მოპყრობაა.

რამდენად ეფექტური იქნება სასამართლო თავისი პოზიციის გატარებისას, კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშაა. შესაძლებელია თუ არა ზემდგომმა პალატამ გადახედოს გადაწყვეტილებას და შეცვალოს, ესეც უცნობია. ასევე უცნობია, რამდენად პრინციპული იქნება სასამართლო ლუცის საქმის შემდგომი გამოყენებისას ისეთ შემთხვევებთან მიმართებაში, როგორცაა სახელმწიფო ოფიციალური სიმბოლიკა და რელიგიური სიმბოლოები, წევრ

ქვეყნებში არსებული პრიორიტეტული დამოკიდებულებები გარკვეული ეკლესიების მიმართ (საბერძნეთი, ინგლისი, სკანდინავიის ქვეყნები, გერმანია და ა.შ).

საინტერესოა ლუცის საქმე საქართველოს კონტექსტისთვის. ჩვეული სურათია ხატების ჯვრების და რელიგიური სიმბოლოების გამოფენა სკოლებში და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში. თუმცა მას ვერ ავიღებთ, როგორც კანონმდებლობაში ნოვაციას, რადგან საქართველოს კანონმდებლობამ რელიგიური სიმბოლოების გამოფენის საკითხი ხუთი წლის წინ მიღებული კანონით ზოგადი განათლების შესახებ უკვე დაარეგულირა და მათი გამოფენა დაუშვა მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ამ პირობებში ლუცის საქმე კიდევ ერთ მოწოდებად შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფოს მიმართ დაიცვას კანონით დადგენილი გარანტიები.